

ეზზარ კვიტაიშვილი (საქართველო)

„სხვა საუკუნე გალაკტიონის“

(გალაკტიონ ტაბიძის თხუთმეტომეულის ხუთი ტომის გამო)

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, არსებობის მანძილზე, მრავალი ძალზე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ უნდა ვიგულოვოთ გალაკტიონ ტაბიძის თხუთმეტომეულის ახალი, მრავალმხრივ სამაგალითო აკადემიური გამოცემა, რუსთაველისავე ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით რომ გამოდის. ამჟამად საუბარი გვექნება უკვე გამოცემულ პირველ ხუთ ტომზე.

ჩვენმა უნიჭიერესმა კრიტიკოსმა და ლექსმცოდნემ თეიმურაზ დოიაშვილმა რამდენიმე ათეული წელიწადი შეაღია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ძირისძირობამდე შესწავლას. მისივე თაოსნობით ინსტიტუტში შეიქმნა რუსთაველოლოგიის მსგავსი ახალი დარგი – გალაკტიონოლოგია – (ეს თვით პოეტის საკრალური ოცნება იყო) და ამავე სახელწოდებით გალაკტიონის კვლევის ცენტრმა დღემდე გამოსცა შვიდი მეტად ფასეული და საჭირო კრებული – „გალაკტიონოლოგია“. გასულ წელს ამასვე დაემატა ასევე ფრიად საინტერესო და მრავალმხრივი „გალაკტიონი – 125, საიუბილეო კრებული“.

ყოველივე ამან მტკიცე საფუძველი მოამზადა, რათა გალაკტიონ ტაბიძის ახალი აკადემიური თხუთმეტომეულის I-V ტომები ღირსეულად გამოცემულიყო. ასეთ საშვილობილო საქმეში, რითაც მთელ მეცნიერებათა აკადემიას შეუძლია იამაყოს, თეიმურაზ დოიაშვილსა და მის ჯგუფს ყოველმხრივ ხელს უწყობს ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ირმა რატიანი.

გალაკტიონ ტაბიძე ის იშვიათი სახელია, ვისი მეშვეობითაც ძალგვიძს, მჭიდროდ დაუკავშირდეთ მსოფლიო პოეზიის უმთავრეს პროცესებს და მიღწევებს და ამ ფონზე წარვმართოთ მისი უზარმაზარი მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევა-ძიება.

გამოცემული ხუთი ტომიდან, მთლიანად რომ ვერ დაიტია გალაკტიონის ზღვა პოეზია, პირველი და მესამე ტომის რედაქტორობა მე მერგო, რაც დიდ პატივად მიმაჩნია; მეორე ტომს როსტომ ჩხეიძემ ურედაქტორა, ხოლო მეოთხე და მეხუთე ტომების რედაქტორობა ლევან ბრეგაძემ და ქალბატონმა ირმა რატიანმა გასწიეს. ხუთნიგნეულში მთელი სიღრმითა და სიმაღლით წარმოჩნდა ათას საბედისწერო განსაცდელში გამოვლილი, ჯოჯოხეთურ სატანჯველთა სტიოკურად გადამტანი, ტიტანური შემართების შემოქმედი, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ლირიკოსი.

გალაკტიონ ტაბიძემ გასული საუკუნის დამდეგს, 1908 წელს, იგრძნო თავი პოეტად და კიდევ შვიდი წელი უნდა გასულიყო, რათა ნამდვილი სახე და ხმა ეპოვ-

ნა, ქცეულიყო იმ ძალად, ვინც სათავეში ჩაუდგებოდა ქართული ლექსის ესოდენ აუცილებელ ფერისცვალებას, მის ძირფესვიან, ეპოქალურ სიახლეთა მომტან რეფორმას.

„ზენა ნიჭითა“ და საკვირველი შემოქმედებითი გზებითაა აღბეჭდილი მისი ღვთაებრივი ლირიკის დამბადებელი ის თორმეტი წელიწადი (1915–1927), როცა მოცარტის ზეციური ჰანგებით მთვრალ პოეტს „გულში მუსიკის მსუბუქი ზვირთები“ უღელავდა და გაზაფხულის ქარზე გაჭრილი, ზედიზედ ქმნიდა უჭკნობ შედეგებს.

„არტისტული ყვავილები“, რომელზედაც შემდგომ საგანგებოდ მოგვინევს ზოგი რამის თქმა, გამოსვლისთანავე (1919) საკულტო წიგნად იქცა და მეოცე საუკუნის სათავესთან ურყევ, გაუხუნარ ნიშანსვეტად დგას, იმის მაჩვენებლად, თუ საით უნდა წავიდეს და განვითარდეს მომავლის ქართული პოეზია.

უზენაესი შემოქმედის უეცარ წყალობას გავს, როცა იდუმალი წიაღიდან მომდინარე, თანხმირ ბგერებში უცხოდ აჟღერებულ, სრულყოფილ რითმებს მოიყოლებს (პირიქითაც ხდება) ლექსის უნატიფესი სტრიქონები, რათა პოეზიის სხივჩამდგარ მადლს, არაამქვეყნიურ ნეტარებას ვეზიაროთ. ამ დროს ჩვენს თვალსა და სმენას აწყდება პოეტის ზღვარდაუდებელ წარმოსახვაში გაჩენილი, ძნელად მოსახელთებელ ხილვებად გარდაქმნილი, უმაღლეს ჰარმონიას დამორჩილებული, მკაცრი თანმიმდევრობით დაძრული ბიძგები. ასეთი რამ „არტისტულ ყვავილებში“ არცთუ იშვიათად ხდება და საამისო მაგალითების მოძებნაც არ გაგვიჭირდება.

სამწუხაროდ, არასასურველ გარემოებათა გამო, ასეთ მძლავრ აღმავლობას მოჰყვა ათწლიანი უმძიმესი კრიზისი, როცა გაბმულად წერდა სოციალისტური რეალიზმის უსულგულო შტამპებით დაღდასმულ ლოზუნგურ ლექსებსა და პოემებს, ათასში ერთხელ თუ გამოურევდა მისი პოეზიისთვის საკადრის სტრიქონებს. გამოცემული ხუთი ტომი თითქმის ოცდაათწლიან პერიოდს (1908-1936) მოიცავს და შევეცდებით, ამ ტომებს თანმიმდევრულად გავადევნოთ თვალი.

პოეტს ოდნავადაც არ ამცირებს, თუ იგი, დროდადრო, ბიძგს სხვა პოეტისგან იღებს. ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავია. არც გავლენები და ჭარბი რემინისცენციები შეიძლება ჩაითვალოს ნაკლად. ახლო, უშუალო წინაპრებთან (ბარათაშვილი, ილია, აკაკი) მიმართებაზე მრავალჯერ დაწერილა. ყველაზე მეტად ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის ხაზს აგრძელებდა, მაგრამ მსოფლმხედველობრივად მისგანაც განსხვავდებოდა. დასამალი არ არის, რომ თანამედროვეთაგან ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძე მეოცე საუკუნის ათიან წლებში ერთობ პოპულარული იოსებ გრიშაშვილის თემებისა და მოტივების, ვერსიფიკაციული ხერხების აშკარა გავლენას განიცდიდა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა მალევე დასძლია. გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში ასევე ისმის ბალმონტის, ბრიუსოვის, ანენსკის და სხვათა ხმები, მაგრამ ყველაზე ახლოს – ტემპერამენტით, სამყაროს ხედვით და სულისკვეთებითაც იგი ალექსანდრე ბლოკთან იდგა. ეს უფრო სულიერი ნათესაობა, შინაგანი წყობა იყო, რაც ქართული პოეზიის მეფედ აღიარებულმა პოეტმა რუსული პოეზიის ამავე ტიტულის მფლობელად მიჩნეული

თანამოკალმის მიმართ არაერთხელ გამოამჟღავნა („ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი, პალადინები ერთი იმედის“).

პირველ ტომში შეტანილი სიჭაბუკისდროინდელი პოემები („შანშე“, „მწყემსი“), პასტორალური და რომანტიკული იერი რომ დაჰკრავთ, შეუთავსებელი აღმოჩნდა მის ბუნებასთან, რადგან გალაკტიონ ტაბიძე თხემით ტერფამდე ლირიკოსია და ასეთ პოეტს ეპიკური ჟანრი ბევრს ვერაფერს შესძენდა.

გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ლირიკის ადგილისა და მნიშვნელობის შესაცნობად არსებითი, დამკვალიანებელია თეიმურაზ დოიაშვილის მოზრდილი გამოკვლევა „გზა „არტისტული ყვავილებისაკენ“, რომელიც ჟურნალ „ლიტერატურული ძიებანის“ ორ, ოცდამეხუთე და ოცდამეექვსე ნომრებში (2004; 2005) გამოქვეყნდა. მეცნიერი თავიდანვე აღნიშნავს:

„მხატვრული შემოქმედების შესწავლა ყოველთვის მოითხოვს ისტორიულ მიდგომას, ამიტომ გალაკტიონის ადრეული ლირიკის კვლევის დროს ამოსავალი უნდა იყოს არა თანამედროვე გემოვნება და ესთეტიკური კრიტერიუმები, არამედ ის ისტორიულ-კულტურული ატმოსფერო, რომელშიც ყალიბდებოდა პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობა“.

ამ ერთადერთი სწორი თვალსაზრისის მომარჯვებითაა განჭვრეტილი პოეტის ადრეული ლექსები. უპირატესად, 1914 წელს გამოცემული მისი პირველი წიგნი, რომლის რეზონანსს ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა, თუმცა აღიარება და მაშინდელი კრიტიკოსებისა თუ პოეტების ყურადღება არ დაკლებია. თვით გალაკტიონი იმედებით იყო აღსავსე, თავისი წიგნით იგი „ქვეყნის აფეთქებას აპირებდა“. მკვლევარის არაერთი დაკვირვებაც მოწმობს, რომ ეს არ გახლდათ მხოლოდ შეგირდობის ხანა – ამ ლექსების ნაწილში აშკარად ჩანს მომავალი გენიალური პოეტი და ეს მართლაც იყო „გზა „არტისტული ყვავილებისაკენ“, არა ია-ვარდით მოფენილი, არამედ „ეკლიანი გზა“, რამაც მალე აპოვნინა თავისი თავი, განუმეორებელი ხმა და სამყარო.

პირველი წიგნის გამოცემის ასი წლისთავს მთლიანად მიეძღვნა „გალაკტიონოლოგიის“ მეშვიდე კრებული, რომელსაც დართული აქვს თეიმურაზ დოიაშვილის წერილი „წიგნი-მთლიანობა“. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გასაზიარებელია კონკრეტული ანალიზის შედეგად გამოტანილი ავტორისეული დასკვნა:

„წარმოდგენილი დაკვირვებანი გალაკტიონის პირველ წიგნზე მაფიქრებინებს, რომ ჩვენ წინაშეა არა ტრადიციული „რჩეული“ – ლექსების ნაკრები, არამედ ერთიანი ტექსტი – წიგნი-მთლიანობა. სწორედ მთლიანობა უნდა იყოს ის პრინციპი, რომელმაც განსაზღვრა ლექსების შერჩევა და მათი არაქრონოლოგიური განლაგებაც“.

გალაკტიონ ტაბიძე თავის თავში მუდამ გრძნობდა რომანტიზმის მემკვიდრეს და თეიმურაზ დოიაშვილიც ადრე დამოწმებულ გამოკვლევაში ხაზს უსვამს ამ მომენტს:

„გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ლირიკა დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს რომანტიკულ ცნობიერებასთან. იგი ზოგად გამობატულებას პოულობს პიროვნები-

სადმი განსაკუთრებულ ინტერესში, სუბიექტური სანქციის აქცენტირებაში, რაც რომანტიკული მსოფლმხედველობის არსებითი ნიშანია“.

მეტად საყურადღებოა თეიმურაზ დოიაშვილის ერთი დაკვირვება – 1909 წელს დაწერილ ლექსში „ხელოვნება“ მან შეამჩნია „მონოტონური განმეორება-ნი“ და სხვათა შორის აღნიშნა: „...ვერსიფიკაციული შაბლონის ფონზე იგი თავის დროზე სიახლედ აღიქმებოდა“.

საგანგებოდ უნდა ითქვას – გალაკტიონის პირველ წიგნში გამეორებების ერთეული შემთხვევები როდია, აქ მას ლექსების უმრავლესობაში ვხვდებით, აშკარად გაცნობიერებული სტილისტური ხერხის შთაბეჭდილებას ტოვებს, სისტემური ხასიათი აქვს, ეს „მომწესხველი გამეორებები“ (თამაზ ჩხენკელის გამოთქმა) ლექსის მუსიკას, რიტმს აძლიერებს და მათზე ცალკეა საჭირო ხანგრძლივი დაკვირვება, რაც, დარწმუნებული ვართ პოეტის კიდევ ერთ, მნიშვნელოვან თავისებურებას გამოავლენს.

თეიმურაზ დოიაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ გალაკტიონს ადრეულ ლირიკაში გათავისებული ჰქონდა რომანტიკოსებისათვის ესოდენ ახლობელი თემა „ტანჯვით ტკობისა“, ეს კი მის პოეზიას, სამყაროსთან კონფლიქტის გამო, დრამატულ ხასიათს სძენდა, რასაც პესიმიზმთან ცოტა აქვს საერთო. აღნიშნული წინააღმდეგობა „შემოქმედების საფუძველს ქმნის. ამიტომ რომანტიკული პიროვნება, რომელიც იტანჯება ცხოვრებისეული დისჰარმონიით, ტკბება კიდევ თავისი ტანჯვით“.

გამოკვლევის მეორე ნაკვეთში („ტრადიცია და ნოვატორობა“) მეცნიერი გამოაცალკევებს გალაკტიონ ტაბიძის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ღირსებას, რასაც შეგირდობასთან არაფერი აქვს საერთო:

„თუ ქართული პოეზია გადარჩა რუსულ-ევროპული „ახალი პოეზიის“ ეპიგონობას და ევროპული კრიზისული კულტურის პრობლემები მიიღო, როგორც საკუთარი პრობლემები, ეს ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძის დიდი დამსახურებაა. გალაკტიონმა აღადგინა და ამ გზით თავადვე მოამზადა ის ტრადიცია, რომელმაც ბუნებრივი, ევოლუციური სახე მისცა ქართული პოეზიის განახლებას, ქართული ლექსის ფერისცვალებას. ამ აზრით, გალაკტიონ ტაბიძე თვითონ არის თავისი თავის წინამორბედი“.

მართო ეს ვეებერთელა, მრავალი რამის განმსაზღვრელი მისიაც სავსებით საკმარისი იქნებოდა, რომ პოეტს თავისი პირველი წიგნით ეამაყა.

სწორედ ამ წიგნში არის შეტანილი ერთი საკვირველი უსათაურო, რომელიც, ბევრ სხვათა გამო, 1914 წლის ივნისამდე დაუნერია და რომლისგანაც იღვრება „საკუთარ ძლიერ სიმღერის გრძნობა“. აქ ჩანს, რომ ჭაბუკ გალაკტიონს არ აკლდა დიდი მომავლის რწმენა, საკუთარ თავში დაჯერებულობა. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ იტყოდა:

მყუდრო ნაპირზე, სადაც ზღვის წინწკლებს
ათამაშებდა სუნთქვა სიოსი,
აღფრთოვანებულ ფიქრებში იდგა
ყრმა მეოცნებე – ყრმა ჰენიოსი.

ჩვენდა საბედნიეროდ, ეს თამამი განაცხადი ლიტონ, ჰაერში გამოკიდულ ცარიელ სიტყვებად არ დარჩენილა. ეფექტურ ხერხად მომარჯვებული განმეორებაც („ყრმა მეოცნებე – ყრმა ჰენიოსი“) მხნეობას მატებს ყმანვილის რწმენას.

ხსენებული უსათაურო ცალად არ არის დარჩენილი. იქვეა ამავე ხანის (1913), ასევე ცალფა რითმაზე განყობილი დამაფიქრებელი ლექსი „სად?“, სულაც რომ არ გავს გაუნაფავი ხელით დაწერილს. მოვიტან კითხვებდასმულ პირველ სტროფს, სადაც დაეჭვებული ყმანვილი კაცის შეშფოთება იგრძნობა:

საით მივყავარ ჩემს მონყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს მე საქართველო
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?

თეიმურაზ დოიაშვილმა ზუსტად განჭვრიტა, რომ ეს სულისკვეთება საპირისპიროა იმისა, რასაც მიზნად ისახავდა „ქართული რეალისტური პოეზია“ – ხალხის გამოღვიძება ეროვნული ინტერესებისათვის და წინ გაძლოლა: „გალაკტიონის სურვილია ქეშმარიტ, ან უკვე დავინყებულ „წმინდა პოეზიას“ აზიაროს ხალხი და გაუძღვეს მას სხვა სივრცეებისაკენ, იდეალისკენ, აბსოლუტისკენ“.

მკვლევარი ბოლო ორ სტრიქონს აკვირდება და მიუთითებს წყაროს, რასაც ახალგაზრდა გალაკტიონი ეპაექრება, ემიჯნება:

„ამ სტრიქონებში ილიას „მგზავრის წერილების“ ცნობილი მონოლოგის ხმა გამოისმის, მაგრამ იგი ურყევი ნებისა და რწმენის „თერგდალეულს“ არ ეკუთვნის, არამედ ახალი ცნობიერების პიროვნებას, რომელიც სულ სხვა ფასეულობებზეა ორიენტირებული“.

მართლაც, ამ დროისათვის გალაკტიონი მთლიანად დიდი ფრანგი სიმბოლისტების (ბოდლერი, გოტიე, ვერლენი, მალარმე და სხვები) მხარეზეა; მტკიცედ აქვს გადანყვეტილი „წმინდა პოეზიას“, „წმინდა ხელოვნებას“, „წმინდა მშვენიერებას“ ემსახუროს; თავის „მონყენილ გზას“ იგი ცხოვრების უმთავრესი წიგნის – „არტისტული ყვავილებისკენ“ მიჰყავს.

გალაკტიონმა თავისი „პოეტური ხელოვნება“ (1915) ვერლენის ანალოგიით დაწერა და მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ეს ლექსი ასე მთავრდება:

მარად გახსოვდეს, რომ ყველაფერი
მუსიკა არის და სილამაზე!

ისევ პირველ წიგნს უნდა მივუბრუნდე. იმ რიგის ლექსებიდან ერთიც, შედარებით ადრინდელი – „გამოსალმება“ (1912) – უნდა მოვიხმო. აქაც ილიას ხატი ცოცხლდება. ყმანვილი სიმბოლოდ ქცეულ მშობლიურ მყინვარსა და მდინარეებს მიმართავს; კითხვა – „რაზედ მოგინყენია?“ სიმღერად ქცეულ ილიას ლექსს („ჩემო კარგო ქვეყანავ“) გვაგონებს, მაგრამ გალაკტიონი „მზა სტილს“ არასოდეს ჯერდება. იმავე თეიმურაზ დოიაშვილს სწორად აქვს შენიშნული: „გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში თითქმის ყველა ტრადიციული თემა ტრანსფორმირებულია ახალი ცნობიერების მიერ“. გამონაკლისი არც „გამოსალმება“, აქაც სხვა რა-

მისკენ მიემართება პოეტის ფიქრი. ამის ნათელსაყოფად პირველი და ბოლო სტროფების ამონერა მოგიწევს:

მყინვარო, რისთვის ჩაფიქრებულხარ,
არაგვო, ჩრდილი რაზედ გფენია?
მტკვარო, შენ მაინც მითხარ, რას სწუხხარ,
შენ მაინც რაზედ მოგიწყენია?

.....
დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება
ჩემი სიმღერა და ჩემი ნანა,
შემოგწირავდით ერთად ყველაფერს,
მაგრამ სხვა რაა სიმღერისთანა!

აქ მოტანილ ბოლო ორ სტრიქონს ანუ მსხვერპლად შეწირვის მოტივს, აშკარად ეხმიანება მოგვიანებით (1934), კრიზისის ჟამს დაწერილი ძლიერი ლექსი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. თავისი ტანჯული ქვეყნის ბედთან განუშორებლად იყო გადაჯაჭვული მისი ცხოვრება და, ბუნებრივია, რაც კი უძვირფასესი გააჩნდა (უბადლო ჩანგი და თვით გულიც) ზვარაკად მიჰქონდა სამშობლოს სამსხვერპლოზე:

სამშობლოვ, მარად მსასოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი –
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

პირველ წიგნში ყურადღებას იქცევს ერთი უსათაურო („სიცოცხლის აჩრდილს“). კომენტარებში მართებულად არის შემჩნეული ამ ლექსის მსგავსება – „როგორც რიტმულ-ინტონაციური სიახლოვე, ისე სახეობრივი პარალელი“ – ილიას „ჩიტთან“.

ჩვენის მხრივ, დავამატებდით, რომ პირველად აქ გამოიკვეთა ამჟამად ცნობილი „გალაკტიონის სტროფი“, რომლითაც პოეტმა, სიცოცხლის მიწურულს, თავისი დიდი პოემა „მშვიდობის წიგნი“ დაწერა. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ლექსის პირველ სტროფს, სადაც საზომიც (ხუთი მარცვალი) და რითამათა თანმიმდევრობაც თავიდან ბოლომდე შენარჩუნებულია:

სიცოცხლის აჩრდილს
სული არ ერთვის,
სხვა გამოძახილს
ვისმენ ყოველთვის.
მხიბლავს ეთერი
და ვმღერი... ვმღერი...
სხვა ყველაფერი
ერთია ჩემთვის.

ბარათაშვილის მსგავსად, „სულით ობოლი“, განანამები გალაკტიონი, სიყმანვილიდანვე მყუდრო „ნავსაყუდელს“, „თავშესაფარს“ დაეძებდა და ასეთად მხოლოდ გენიალური წინამორბედების სულიერი სამყარო ეგულებოდა. მას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი კლასიკურ მემკვიდრეობასთან. გეზის მიმცემად საფიცარი სახელები ჰქონდა მონიშნული და ერთ, საკუთარი მრწამსის გამოხატველ ლექსში („პოეტს“) იმ სამყაროს მარადიულ ბინადართ, ძვირფას თანავარსკვლავედს, საკრალურ ხუთეულს (ციფრი, ცხადია, პირობითია) ჩამოთვლის, სადაც მისი ფართო თვალსაწიერი ჩანს:

იქ ლოცულობდა პეტრარკას სული,
იქ მუსიკობდა თვით დანტეს ქნარი
და ბაირონის ამაყმა ლელვამ
მხოლოდ იქ ჰპოვა ნავთსაყუდარი,

იქ რუსთაველის დატრიალებდა
შემოქმედების წრფელი ნადიმი
და იქ ტოკავდა უცნაურ გზნებით
ბარათაშვილის მწუხარე სიმი.

შეუძლებელია, საქმეში ჩახედულმა ლიტერატორმა სხვა აზრი იქონიოს გარდა იმისა, რომ თხუთმეტომეულის გამოცემული ხუთივე ტომი (ეს ურთულესი ამოცანა ორ წელიწადში განხორციელდა) ყოველმხრივ – ტექსტოლოგიური ძიებები, ლექსების დალაგება, ვარიანტების შერჩევა, გარკვეულ მოსაზრებათა გამო, განზრახ არეულ-დარეული თარიღების შეძლებისდაგვარად დადგენა იქნება თუ ამომწურავი, ლაკონიური, უზუსტესი, თითქმის ყველაფერზე პასუხისგამცემი კომენტარების დართვა (გვახსოვს ის დასანანი კურიოზები, თორმეტომეულს რომ ახლდა) მომზადებულია უაღრესად კეთილსინდისიერად, უმაღლეს მეცნიერულ დონეზე. შენიშვნები, კომენტარები, სადაც თითქმის ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაშრომებია გათვალისწინებული, წინამდებარე გამოცემას არა მარტო აკადემიურ იერს სძენს, არამედ გვახედებს გალაკტიონ ტაბიძის უმდიდრეს შინაგან სამყაროში, წარმოდგენას გვიქმნის მის უსაზღვრო ინტერესებზე და იმ თავისებურებებსაც გვაცნობს, რასაც პოეტი ამა თუ იმ ლექსისა და პოემის დაწერისას იჩენდა.

პირველ ტომში შეტანილი ლექსი „ჰამლეტის ქნარით“, რომელიც უთანაგრძნობოდ დარჩენილ გალაკტიონს თავისი ახალგაზრდობისდროინდელი გატაცების, მომხიბლავი ქალის – რაისა ჩიხლაძისადმი მიუძღვნია, ქუთაისში გამოცემული კრებულის მიღმაა დატოვებული. „ჰამლეტის ქნარით“ იმავე პიროვნებისადმი (არ ვიცით, იგი მართლა იყო მონაზონი თუ არა) მიძღვნილ დანარჩენ ხუთ ლექსზე უკეთესი, უფრო ოსტატურად დაწერილია. მასში სათაურიდანვე აშკარაა მინიშნება შექსპირის უძლიერეს და უღრმეს ტრაგედიაზე, „ჰამლეტზე“. განსაკუთრებით იტქმის ეს ფინალურ სტრიქონზე, სადაც თითქმის პირდაპირაა მოყვანილი დანიის პრინცის სიტყვები: „ნადი... ნადი მონასტერში!.. მონასტერში, ოფელია!“ გა-

ვისენოთ „ჰამლეტის“ მაჩაბლისეული თარგმანის ეს ადგილი, მესამე მოქმედების პირველი სურათი: „მონასტერში ნადი, მონასტერში. რად გინდა ქვეყანაზედ ცოდვიანები გაამრავლო“.

შექსპირის ხუთტომეულის რედაქტორი (სამნუხაროდ, მხოლოდ სამი ტომი გამოვიდა), დიდად განათლებული სწავლული და მთარგმნელი პროფესორი ნიკო ყიასაშვილი კომენტარებში აღნიშნავს, რომ „მონასტერში“ „შექსპირისდროინდელი ჟარგონის მიხედვით „საროსკიპო“ იგულისხმება.

ეს „ორაზროვნების ელემენტი“ ირონიულ შეფერილობას ანიჭებს უკიდურესად გაღიზიანებული, აფორიაქებული ჰამლეტის ნათქვამს. გალაკტიონის მოტანილი სტრიქონის წარმომავლობა ისედაც ცხადია, თუმცა ალბათ შეიძლებოდა ტრაგედიის ამ ადგილის ზუსტად მითითება.

თითქოსდა განგების ნებით მოხდა – გალაკტიონ ტაბიძემ მას მერე გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი სახე და ძალა, რაც 1915 წელს ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალა ქართული პოეზიის ორი გენია – აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. „განთიადის“ ავტორის, სათაყვანებელი პოეტისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“, ძველი ინერციითაა დაწერილი. სახეობრივი მრავალფეროვნებითაც არ გამოირჩევა (იგი არცაა შეტანილი „არტისტულ ყვავილებში“), ხოლო მეორე, ათმარცვლიანი მეტრით განწყობილი „აკაკის ლანდი“, გაცილებით დრამატულია; მასში მთელი სისავსით არა, მაგრამ მანაც ახალი ხედვა, უჩვეულო პოეტიკა ჩანს და ლირიკისთვის ესოდენ საჭირო იდუმალეზაც იგრძნობა. თვალსაჩინოებისთვის ორიოდვე სტრიქონს მოვიტან:

ჩუმაღ... დაღლილი სანთლებით მოდის
მნუხარე ლანდი... მაღალი ლანდი.

ეს შესიტყვებანი („დაღლილი სანთლებით...“, „მნუხარე ლანდი...“, „მაღალი ლანდი...“) მეოცე საუკუნის დამდეგის ქართული პოეზიის პირმშოა, რომლის უმთავრესი შემოქმედი და დამამკვიდრებელი თავად გალაკტიონ ტაბიძე იყო. აქაც და სხვა ტომებში შემავალ ლექსებშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რიტმის, მელოდიის, ექსპრესიის გასაძლიერებლად, გალაკტიონი ძალზე თავისებურად იყენებს გამეორებებს. ამ ხერხის სწავლა უცხოური პოეზიისაგან არ ესაჭიროებოდა; იგი განსაკუთრებით უხვად და მარჯვედ არის გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში“.

ვინც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას დაკვირვებია, შეამჩნევდა, რომ იგი ხშირად რითმავს არათანაბარმარცვლიან სიტყვებს, რასაც, ჩვეულებრივ, „კოჭლ რითმას“ ეძახიან. ამგვარი რითმა გალაკტიონისა და აკაკის პოეზიაში ტექნიკურ ხარვეზად, ნაკლოვანებად არ აღიქმება, ოდნავადაც არ აბრკოლებს ლექსის მთლიან მუსიკალობას. ეს კი იმაზე მეტყველებს, რაოდენ გაფაქიზებული ჰქონდა ორივეს შინაგანი სმენა. ზოგჯერ ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს აკაკის სული, მისი სიმსუბუქე, ჰაეროვნება, გამჭირვალეობა და მელოდიურობაც პირდაპირ გალაკტიონის არსებაში გადმოსახლდა, ღვთიური ნიჭი მემკვიდრეობით გადმოეცა.

გალაკტიონი, აკაკის კვალდაკვალ, მეტწილად, სარიტმოდ გატანილ ორმარცვლიან სიტყვას სამ, ოთხ და ხუთმარცვლიან სიტყვებს უწყვილებს (იშვი-

ათად შებრუნებითაც ხდება), რაც ლექსის ჰარმონიას სრულებითაც არ არღვევს, სტრიქონთა მდინარებაში დისონანსი არ შეაქვს. თხუთმეტტომეულის მეორე ტომიდან სახელდახელოდ ამოვიწერე ასეთი წყვილეულები, რათა გამოიკვეთოს გალაკტიონისეული გარითმვის პრინციპი: ჩუმი – აბრეშუმი; ხმაზე – სილამაზე; ხმაში – თამაში; მერი – სუროსფერი; მთანი – იალქანი; კვდომა – შემოდგომა; უსაბუროსი – ბურუსი; იშვიათი – ლანდი; ქაფი – ზეინაბი; ნემო – ნუგეშო; ჩქარა – მუქარა და მისთანანი. არაფერს ვამბობ განსაცვიფრებელი ჟღერადობის, ულამაზეს მეტაფორასთან შერწყმულ, გადაულახველ რითმაზე (სილაში ვარდი – სილაჟვარდე), რომელსაც ღვთისმშობლის, „მზე-მარიამის“ შარავანდედი ადგას.

„ახალი პოეტიკის“ კარიბჭესთან მდგარ გალაკტიონ ტაბიძეს ათვისებული ჰქონდა ევროპული პოეზიის უმდიდრესი გამოცდილება, ტრადიციულისგან მკვეთრად განსხვავებული, აგრეთვე, გაცვეთილ შტამებზე არიდებული პოეტური მეტყველება, რამაც მისი ფერისცვალება განაპირობა:

„იმპრესიონიზმი მოითხოვს შთაბეჭდილების ნიუანსების გადმოცემას, რაც მხოლოდ „სიტყვა-ნაწყვეტს“, უზუალურობისაგან გათავისუფლებულ „მინიშნებათა პოეტიკას“ შეუძლია. მოსაძებნია ისეთი სიტყვა, რომელიც აღწერის, თხრობის, პარალელების გარეშე, უშუალოდ გვაგრძნობინებს შთაბეჭდილების განუმეორებლობას, ანუ „ამოაშრობს“ გულში ნაგრძნობ-ნაფიქრალს. დადგა ძველ, რაციონალურ პოეტიკასთან გამოთხოვების ჟამი. „ოცნებაში მფრინავი სული“ თავის ქვემარტ სამოსელს, ახალ ფორმას ეძიებდა“. (თეიმურაზ დოიაშვილი)

პირველი წიგნის გამოსვლიდან ერთი წლის მერე, როგორც ზემოთ ითქვა, ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძემ ეს ფორმა იპოვა და წარმატებით დაადგა დაოსტატების ძნელ გზას.

თეიმურაზ დოიაშვილმა პოეტის არქივსა და სხვა მასალებზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაადგინა „არტისტული ყვავილების“ ნამდვილი პროლოგი და ეპილოგი, კომპოზიციურად გამართა მთელი ქართული პოეზიის უთვალსაჩინოესი წიგნი (ეს ასახულია თხუთმეტტომეულის მეორე ტომში) და თავის მეტად მნიშვნელოვან გამოკვლევაში – „არტისტული ყვავილების“ პროლოგი (ერთი ჰიპოთეზის ისტორია)“ – ეჭვმიუტანელად დაასკვნა:

„ამრიგად, „არტისტული ყვავილების“ პირველი ლექსის – „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ – აზრობრივ-კონცეფციური სიახლოვე გოტიეს „მინანქრებისა და კამეების“ წინათქმასთან და ამის მეშვეობით გოთეს „დივანის“ პროლოგთან „ჰიჯრა“, აგრეთვე რიგი კონკრეტული რეალიებისა იმის უფლებას იძლევა, რომ გალაკტიონის ეს ლირიკული შედეგრი „არტისტული ყვავილების“ პროლოგად მივიჩნიოთ“.

მკვლევარმა მალევე ცხადყო ისიც, რომ წიგნის შემკრავი, უკანასკნელი ლექსია ღრმად სიმბოლური, დაშიფრული სახეებით გაჯერებული „დომინო“, რომლის კომენტარებში ვკითხულობთ:

„კრებულის ბოლო ლექსი წიგნი-მთლიანობის ეპილოგია, რომელშიც ლირიკული ნარატივის რეზიუმირება ხდება. აქედან გამომდინარე, ავტორისეული თარიღი 1916 წელი საეჭვოა; „დომინო“ უფრო 1918-1919 წლებში უნდა იყოს დანერგილი“.

ავტორს რომ მოსურვებოდა, სტილისტური ერთგვაროვნების გამო (ამას ქრონოლოგიაც ხელს უწყობდა) „არტისტულ ყვავილებში“ შეიძლებოდა შესულიყო მეორე ტომის ლექსები: „მერი“ („შენ ზღვის პირათ მიდიოდი“, „კოშკი“, „ქალის ქანდაკება“, „ოფორტი“, „ხიდი „რიალტო“ მთის მდინარეზე“). „არტისტულ ყვავილებს“, ოსტატობის მხრივ, აგრეთვე, ენათესავება 1920 წელს დაწერილი საუკეთესო ლექსები: „ტფილისი“, „გოტიეს“, „დგება შემოდგომა“, „შენ და შემოდგომა“ (არის ნეტარება), „ცხრაას თვრამეტი“, „თეთრი პელიკანი“, „მზეო თიბათვისა“, „გადია“, „მაგიდა ალემბიკებით“...

მესამე ტომში კიდევ უფრო მძლავრად, მრავალფეროვნად გრძელდება „არტისტული ყვავილებით“ დაწყებული აღმასვლა. განცვიფრებას იწვევს საზომებისა და ფორმების, ტონალობათა, გამოსახვის ხერხთა სითამამე და ნაირგვარობა. ქართველ პოეტთაგან არავის დაუხვავებია ამდენი უნატიფესი შედეგრი. მათი მართო ჩამოთვლაც კი ათეულობით გვერდს შეავსებდა.

მეოცე საუკუნის მეორე დიდმა ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ (იმათი ტოლი, თანამედროვეთაგან, არავინ ყოფილა), ძვირფასი ნეშტის წინაშე, მთაწმინდაზე, დამგლოვიარებულმა, თქვა: „გალაკტიონის შემოქმედება ჯერ ხსოვნა იყო ჩვენი სიჭაბუკისა და მერე მუსიკა ჩვენი სულისა“.

მუსიკალური ტალღა, სანყისი, უმთავრესი, არსებითია გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში, მაგრამ იგი პეიზაჟის უბადლო ოსტატიც გახლავთ – მისი თვალთ დახატული და დახატული სურათები მუდამ ლექსის მელოდიასთან არის შეხამებული. გავიხსენოთ თუნდაც მისი ნიავეით ლალი „ომნიბუსით“, სადაც პოეტი მშობლიური კუთხის ქალა-მინდვრებს აცოცხლებს და მომნუსხველად, სმენის დამატკობელად ჩაგვესმის ცხენებშებმული ეტლის „შარაგზებზე ჟღარუნი“. დედაბუნების ღვთიური წყალობა – ხილი – ასეთ მოულოდნელ ფერებში, ქართველ პოეტთაგან არავის დაუნახავს:

დაფენილი თითქო ომში,
ფშანია თუ ჟალტამი?
ველად ყრია ლურჯი კომში
და ცისფერი ატამი.

ეს სილამაზე ბოლომდე რომ შეიცნო, ფრანგი იმპრესიონისტი მხატვრების ქმნილებებს უნდა იცნობდე. გეუფლება შეგრძნება – შენს წინ გაიელვა სეზანის ნატურ-მორტმა, სადაც ხელშესახებად, მკვეთრადაა მოხაზული ნაყოფთა კონტურები. გალაკტიონს არ ესწავლებოდა, როდის რა ხილი მნიფს („მშვიდობის წიგნში“ მთებადაა დამდგარი მოსავალი), მაგრამ აქ ერთმანეთს განზრახ გადააბა ზაფხული და შემოდგომა – „ცისფერი ატამი“ და „ლურჯი კომში“ გვერდიგვერდ განალაგა. ასეთი რამ, ერთი შეხედვით, შეუთავსებელია, მაგრამ ზღაპარივით ფრთებგაშლილ მის ლექსში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

აქვე უნდა მივუბრუნდე „არტისტული ყვავილების“ ერთ მცირე ზომის შედეგს, რომელსაც სათაურად დაშიფრული ინიციალები („ი. ა.“) უზის. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების თავგადაკლულმა მემატაიანემ,

მკვლევარმა და პოეტმა ვახტანგ ჯავახიძემ თავის უაღრესად მნიშვნელოვან მონოგრაფიაში „უცნობი“ (2013), რომლის სრულყოფაზედაც ოცდაათ წელიწადზე მეტია იღვწის, ცხადყო, რომ იგი მიძღვნილია ჩვენი გამოჩენილი მწერლის ქაბუა ამირეჯიბის მამის ირაკლი ამირეჯიბისადმი, „რომელთან ერთადაც დააბიჯებდა გალაკტიონი საბედისწერო 1917 წლის მოსკოვის „შეშლილ“ ქუჩებში“.

თავდაპირველად ვახტანგ ჯავახიძე კვალმა მიიყვანა პოემა „ჯონ რიდამდე“, სადაც „ტყვიით მოკლული 5 წლის ოქროსთმიანი გოგონა“ ფიგურირებს. ამ ტრაგედიის გამოძახილს მან მოგვიანებით, შვიდი წლის შემდეგ დაწერილ ლექსშიაც („ალუჩა, შვიდი წლის ბავში“) მიაგნო.

თვალი შევავლოთ „არტისტულ ყვავილებში“ გამოქვეყნებულ ლექსს, რომელიც 1919 წლამდე, ავადსახსენებელი ოქტომბრის გადატრიალების ახლო ხანებშია დაწერილი:

ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავში
ნუკრის თვალებით, თმით – მიმოზებით
და მწუხარების მალენიავში
მოფრინდენ ლურჯი ანგელოზები.

შეშლილი სახით კივოდა ქუჩა:
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ყვაოდა სოფლად ალუჩა
და გაისმოდა დების სიმღერა.

რამდენი რამ არის დატეული ამ ორ სტროფში. დასურათხატებულია ბნელი ძალებისგან რუსეთში დატრიალებული ქაოსის მთელი სისასტიკე. ბრმა ტყვიით განგმირული ნუკრისთვალება, მიმოზას ყვავილისფერი თმის გასისხლიანებული გოგონა პირქვეა დაცემული. იგი გაზაფხულზე აფეთქებული ალუჩის მოხლეჩილ ტოტთანაც არის შედარებული (გალაკტიონი შეუმჩნეველ მინიშნებათა დიდოსტატია). „მწუხარების მალენიავში“ მოფრენილი „ლურჯი ანგელოზები“ გაფითრებულნი დასცქერიან პანაას გაციებულ ცხედარს.

ამას მოსდევს უზარმაზარი ზემოქმედების მქონე საპირისპირო სურათი. აკივლებული, საშინელების შემსწრე „შეშლილი ქუჩა“ უძრავად რჩება და პოეტს თავის მშობელ კუთხეში გადაყვავართ, სადაც აყვავებული ალუჩა მზის სხივებშია გახვეული, თითქოს ციდან იღვრება „დების სიმღერა“, ბავშვის უმანკო სულს რომ მოუოხოს.

გალაკტიონის უჭკნობ შედეგებზე წერა (მათი დიდი უმრავლესობა მესამე ტომშია თავმოყრილი) უდიდესი სიამოვნების მომგვრელია, მაგრამ ამჯერად ამგვარ მიზანს ვერ დავისახავდი. მინდოდა უფრო, ისიც შეზღუდულად, ნაწილობრივ, ჩემი შთაბეჭდილებები გადმომეცა გალაკტიონის თხუთმეტომეულის ხუთი გამოცემული ტომის გამო, პოეტის თითქმის ოცდაათწლიან შემოქმედებით გზას (1908-1936) რომ მოიცავს და, თავისი აღნაგობით, მეცნიერულად შესწავლით, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შემდგომი კვლევისთვის მტკიცე, უაღრესად სანდო საფუძველს ქმნის.

მესამე ტომიც, დანარჩენთა მსგავსად, სამაგალითო გულმოდგინებით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა შედგენილი და ნიგნზე დართულ ბოლო-თქმაში ახსნილი, განმარტებულია ტექსტების შერჩევისა და დალაგების პრინციპი.

სავსებით გამართლებულად, ცალკე ნიგნად არის წარმოდგენილი „მნათობ-ში“ დაბეჭდილი „ასი ლექსი (1925)“, რომელსაც წინ უძღვის და მოსდევს კიდევ ორი მოზრდილი განყოფილება.

საქართველოს დაპყრობის, ძალად გასაბჭოების შემდეგ თუ რა გაუსაძლის ყოფაში აღმოჩნდა გალაკტიონი და რა მეტამორფოზები განიცადა მისმა ერთმა ლექსმა („სადღეგრძელო იყოს მისი“), ეს მთელი სიცხადით გამოავლინა თეიმურაზ დოიაშვილმა და ამიტომაც ლექსს ორმაგი თარიღი (1921; 1925) მიეცა.

მესამე ტომში შეტანილია ადრე ჟურნალ „მნათობიდან“ ამოღებული და აკრძალული პოემა – „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ – 1924 წლის სისხლ-ში ჩახრჩობილი აჯანყების გამოძახილი, რასაც დაპატიმრებული პოეტი კინაღამ გადააყოლეს.

გალაკტიონის შემოქმედების შეფასება და დახასიათება მრავალმა მეცნიერ-მა თუ ლიტერატორმა სცადა. გურამ ასათიანი ჩვენს კრიტიკოსთაგან ერთი მათთაგანი იყო, ვინც შეუმცდარად გრძნობდა მხატვრული სიტყვის მადლს, ძალ-მოსილებას და გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე დანერგილი მისი ესეე უთუოდ სა-უკეთესოებს მიეკუთვნება. ესაა პოეტის ერთ-ერთი რჩეულის (1973) ბოლოთქმა, საიდანაც ორი მცირე ამონარიდი უნდა მოვიშველიო:

„გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ხელოვნებაში თითქმის სრულყოფილი სახით არის განხორციელებული ე. წ. სუგესტიის – პოეტური ჩაგონების, განწყობილების გადადების პრინციპი, რომელიც სიმბოლისტური პოეტიკის მთავარ პრინციპს წარმოადგენდა“.

ასევე არსებითი, უეჭველი და განზოგადების მხრივ ფრიად მასშტაბურია მეორე დაკვირვებაც, პოეტის უკვდავ ქმნილებათა ძირითად თავისებურებას რომ ითვალისწინებს:

„შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში საერთოდ მუსიკას, ლექსის მელოდიურ გააზრებას და ინსტრუმენტირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით მისი შემოქმედება ევროპული სიმბოლიზმის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ნიმუშია“.

ვინ არ იცის, რაოდენ ძნელი, თითქმის შეუძლებელიცაა მთლიანად მუ-სიკას დანდობილი გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის უცხო ენაზე გადატანა. ბელა ახმადულინამ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა პოეტმა საკმაოდ თავისუფლად თარგმნა გალაკტიონის თორმეტი ლექსი, რამდენადაც მოუხერხდა, ჩასწვდა „ვარსკვლავთა სულზე უერცესი სულის“ სიდიადეს. ერთ-გან ჩაუწერია – დამეული თბილისის ქუჩებში როცა დადვივარ, სულ მგონია, გალაკტიონის ლანდი დამყვებო. პოეტს ამაზე უფრო ლამაზად თავყანისცემასა და სიყვარულს ცოტა ვინმე თუ გამოუცხადებს.

ახალი გამოცემის მეორე-მესამე ტომებში გვეცხადება ანტიკური აღნაგო-ბისა და მიმოხვრის ახალგაზრდა გალაკტიონი, ზევსის მრავალსახიან პირმშოს,

აპოლონის სულჩადგმულ, ამოძრავებულ ქანდაკებას რომ გავს; იმ აპოლონის, ნინასწარმეტყველის ნიჭი რომ დაჰყვა და კვიპაროსის ასხლეტილი ტანი პოეტისთვის საბედისწერო, წელში გამტეხავ სიმაღლედ მოინიშნა. კიდეც გვაგონებს „რეჟიემის“ შესაქმნელად შემართული, „შავად შემოსილი“ მოცარტის ორეულს, მუსიკის უძირო მორევში რომ გადაეშვა და მის ტალღებზე დარწეული, თვითონაც ღვთაებრივ ჰანგებად დაიღვარა. ამ დროს იყო, თავის ფაფარაყრილ „ლურჯა ცხენებს“ სხვათა ბედაურებთან გასაჯიბრებლად რომ აგულიანებდა და თავადაც, თვალეხანთებულს, ჯიშინი ულაცოვით ებერებოდა ნესტოები... ჩვენდა სამწუხაროდ, აღარ დააცადეს, ხანმოკლე გამოდგა პოეზიის წმინდა ტაძარში განმარტოების, ლექსის დიდოსტატებთან განდობის, გულის გადახსნის ნეტარი ჟამი. რუსთაველის კვალდაკვალ, გალაკტიონ ტაბიძეც სიკვდილს „თამაშად და მღერად“, „ვარდისფერ გზად“ თვლიდა, არასოდეს დაცხრომია მისი არად ჩაგდების ჟინი. განსაკუთრებით მძაფრად ამას „მთანმინდის მთვარე“ გვიმხელს. ის ათითორმეტი წელიწადი (1915-1925), თავდავინყებით რომ იყო დანთქმული პოეზიის უკიდევანო ოკეანეში, გულის გულია მისი უდარებელი ლირიკისა.

„ზარნიშინი წიგნის“ გამოცემის შემდეგ, 1927 წლიდან მოყოლებული, მკვეთრად შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გამო, გალაკტიონ ტაბიძეს ეწყება ხანგრძლივი შემოქმედებითი კრიზისი, მხოლოდ შიგადაშიგ თუ გამოუჩნდეს მისი ვეება ნიჭის შესაფერის ლექსს. გიჭირს დაჯერება, რომ პოეტი, ვინაც ფრანგული სიმბოლიზმის ერთ-ერთ ბურჯს, პოლ ვერლენს, „დალუპულ მამად“ იხსენიებდა, ასე შემანუხებლად შეცვლილიყო.

არ არის ძნელი წარმოსადგენი (ამის აურაცხელი ფაქტი არსებობს) სამწლიანი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის დამხუთველი წნეხის ქვეშ მოქცეული საქართველო, როცა სისხლისმღვრელი, უღმობელი დიქტატურის კარნახით ყველაფერი უბირი, გაუნათლებელი ბრბოს გემოვნებამდე დაიყვანებოდა.

ამ აუტანელ, დამთრგუნველ პირობებს დაუფარავად გადმოგვცემს ირმა რატიანის მრავალმხრივ საყურადღებო და საჭირო წიგნის („ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“, 2015) ერთი ადგილი:

„პროლეტარულმა რევოლუციამ, რომლის შედეგადაც დამყარდა პოლიტიკურად ერთპარტიული, ხოლო სოციალურად უნიფიცირებული (ფურცელზე მაინც) წეს-წყობილება, ე. წ. კომუნისტური დემოკრატია, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებს შეეზღუდა თავისუფალი არჩევანის უფლება, რამაც სავალალო დალი დაასვა კომუნისტურ ქვეყნების კულტურულ ისტორიას“.

კაცობრიობის უდიდესი გენია ლეონარდო და ვინჩი ადამიანის ყველაზე მთავარ თვისებად თავისუფლებას თვლიდა და რა უნდა განეცადა ხელფეხშეპოჭილ, მუდამ გათავისუფლებისაკენ მიმსწრაფ, სილალეს მონყურებულ ისეთ ბობოქარ ხელოვანს, როგორიც გალაკტიონ ტაბიძე იყო. უნიჭო პროლეტარული პოეტების გარემოცვაში მოქცეული „ეფემერას“ ავტორი იძულებული გახადეს, სოციალისტური ეპოქის შესაბამისად გარდაქმნილიყო (საამისოდ საგანგებო ტერმინიც კი არსებობდა – „перековка“) და ისიც ათეული წლების მანძილზე წერდა მისი სულიერი

სამყაროსთვის ყოვლად შეუფერებელ ლექსებს. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს – შინაგანი ჯანყის გრძნობა მუდამ თან ახლდა. გავიხსენოთ მისი პოემის – „საუბარი ლირიკის შესახებ“ – რეფრენი: „პოეტის ჩანგი არასოდეს არ მდუმარებდა“. არც ეს ყოფილა ცარიელი განცხადება. ოცდაათიან წლებში, როცა მეუღლე, ოღლა ოკუჯავა გადაუსახლეს და დაუხვრიტეს, ცნობილია, როგორ შეურიგებლად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ვახტანგ ჯავახიძემ პოეტის არქივში აღმოაჩინა რამდენიმე უცნაური ჩანაწერი. თავის ბიძაშვილს, ტიცვიან ტაბიძეს ხუმრობით იგი „ტიციანელოს“ ეძახდა და ო–ში თავისებურ, ღიმილისმომგვრელ აზრს დებდა. წოდებითი ბრუნვის ეს ო სტალინისადმი მიმართვაში გაკიცხვის კილოზე აუჟღერებია. ამ გადამალულ ჩანაწერებს ვახტანგ ჯავახიძე ზუსტად და მახვილგონივრულად შიფრავს: „სხვა შემთხვევაში კი ამ ხმოვანს განსხვავებული ფუნქცია დააკისრა: ორად ორი სტრიქონი დანერა და მწარე ირონია გაურია: თითქოს დიდხნის ბოღმა და პროტესტიც ამ ორ სტრიქონში ჩაატია, თითქოს უპასუხოდ დატოვებულ ოლიას წერილებსაც ერთბაშად გამოეხმაურა და გამოექომაგა:

ასეც არ შეიძლება,
ამხანაგო სტალინო!

მერე აკაკის ორი პოპულარული სტრიქონი გაშალა და მთავრულით ერთადერთი სიტყვა მიუწერა, ადრესატი შეუცვალა და ხაზი გაუსვა, გაშიფრა და გაამხილა, გაგვენდო და გამოგვიტყდა:

ყველა სწეულებაზე სიყვარული ძნელია –
სტალინის...

უფრო მკაცრი იყო სხვა დროს...“.

ეს დაუზოგავი სიმკაცრე აშკარად ჩანს დაუთარილებელ, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით იმავე ოცდაათიან წლებში დანერილ (სიცოცხლეში ვინ გამოუქვეყნებდა) ლექსში „სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრისა“. მოვიტან მხოლოდ ორ სტროფს, სადაც „ჯერარნახულ, ჯერარგაგონილ“ მასშტაბის სისხლიანი რეპრესიების მომწყობი დესპოტის შემზარავი პორტრეტი იკვეთება:

უნდობელია მისი გენია,
არც შერბილება, არც შეცოდება,
ჯერ დედამინას არ მოსმენია
მსოფლიოს ბაგეთ ასე გოდება.

ყოველ გულს ნამავს შხამიან ნესტრით,
სულს ხორციელის ეხება დანა,
გრგვინავს ორკესტრი, გრგვინავს ორკესტრი,
მას დირიჟორობს თვითონ სატანა.

ერთი რამ კი უნდა ითქვას – „ელამი სიფილიტიკის“ (ბუნინის გამოთქმა), კაციაჩამია ლენინისგან განსხვავებით, სტალინს აღმშენებლობის უნარი მაინც ჰქონდა და არც ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ იყო გულგრილი, ბევრი რამის ყადრი იცოდა, რთულ, წინააღმდეგობრივ ფიგურად დარჩა ისტორიაში.

აჭარაში ყოფნისას დაწერილ ლექსში „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა (1935), გალაკტიონ ტაბიძის კრიზისის პერიოდს რომ განეკუთვნება, დიდი ტრაგიზმია ჩადებული და ამავე დროს პოეტის ზღვარდაუდებელი კეთილშობილება გამოკრთის. იგი თითქოს მომავალ თაობებსაც მიმართავს, ყველას უშურველად უსურვებს, ამორებოდეთ ის უმძიმესი განსაცდელი, რაც თავად იგემა:

ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა,
თავმიდებული აჭარის კალთებს.
რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა,
თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს.

მეოთხე-მეხუთე ტომებში შემავალი ლექსების დიდი უმრავლესობა და პოემებიც, გასაგებ მიზეზთა გამო (სოციალური წყობის შეცვლა, პოლიტიკა) ვერ არის გალაკტიონის ზეგარდმო ნიჭის შესაფერის სიმალლეზე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათზე ნაკლები მუშაობაა განეული. პირიქით, თითოეული მათგანი ჯეროვნად არის შესწავლილი, კომენტირებული და მიჩენილი აქვს თავ-თავისი ადგილი.

არის შემთხვევები, როცა ოციანი წლების მიწურულს დაწერილი ლექსი სხვაგვარად – ძლიერად, შთამბეჭდავად იწყება და მერე თემა შეცვლილია, განზრახაა დარღვეული საზომი და რიტმი, მდინარება ქაოტური ხდება. ამ ლექსის პირველი სტროფი ვნებათა ლელვით, დრამატიზმითაა სავსე, ავტორის პიროვნულ ტკივილს გვამცნობს:

შენ ფოლადივით ცივი თვალებით
უმზერ განვლილ გზას და არ ემდური.
რად გინდა იყო დიდი პოეტი
თუ ცხოვრებაში ხარ უბედური?

ამავე პერიოდს განეკუთვნება ასეთივე დრამატული ფლერადობის უსათაურო, სადაც აუტანელ სიდუხჭირეში მყოფი პოეტი თავის უსასოობას მძაფრად და დახვეწილად, ჩვეული არტისტიზმით გადმოგვცემს. ვინაიდან მეოთხე ტომში ძალზე ცოტაა გალაკტიონისეული ჭეშმარიტი ლექსები, მოვიტანთ ამ უსათაუროს პირველ და მესამე სტროფებს:

მთელი ქვეყანა რომ გადაინვეს,
ცეცხლი მოედოს შრომას და ამაგს,
ჩემი ერთი ხეც არ დაინვება,
ერთი ხე რაა – ქვეყნად არა მაქვს.

.....

რაა იმაზე მეტი სიბრძნე,
სიღარიბესთან რომ სიმშვიდეა,
მისით სიკვდილის კარებთან იყვე
და მაინც კვნესდე: ღმერთი დიდია!

ულვთოდ ნატანჯი გალაკტიონ ტაბიძის ვიზიონერული მზერა ყოველთვის მომავლისკენ იყო მიმართული და მოგვიანებით დაწერილ ლექსში – „სტანსები“ (1943) წინასწარმეტყველის გზებით თქვა:

აქ დაიდგება პოეტის ძეგლი,
ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით,
იქნება, ბევრი რამე იქნება,
მხოლოდ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.

ამაყი სინანულია გამხელილი მოტანილ სტრიქონებში. კარგა ხანია მოგვევლინა დრო, თვითონ თვალნათლივ რომ ხედავდა – ახალი ათასწლეულია დამდგარი – „სხვა საუკუნე გალაკტიონის“, რომელსაც თავად ვერ მოესწრო, მაგრამ განჭვრეტილი კი ჰქონდა. ასევე ნაღვლიანი ამოოხვრითა და სიჭაბუკეშივე ჩასახული („შენ ერთი მაინც“, 1918) გაუმტყუნებელი იმედით მთავრდება ეს გულისშემძრავი ლექსი:

ოჰ, მომავალო, შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები.

მისი ნებით გამოქედილმა მომავალმა დიდი ხანია თქვა თავის ურყევი სიტყვა, რომელსაც არასოდეს გაუვა ყავლი.

წინამდებარე გამოცემაზე მომუშავეებს იმთავითვე გაცნობიერებული ჰქონდათ „იძულებით ნასწორები ტექსტების აღდგენის გარდუვალობა“ (ვახტანგ ჯავახიძე) და ამ ჩახლართულ, ურთულეს ამოცანას სანაქებოდ გაართვეს თავი – ჩვენ წინაშე მთელი სიმაღლით გამოჩნდა „ჯაჭვანყვეტილი“, ბოროტი ძალების ხანგრძლივი, დამამცირებელი ტყვეობისგან თავდახსნილი გალაკტიონი.

წლების მანძილზე მართლაც რომ დიდი რუდუნებით შესრულებული უზარმაზარი სამუშაოს არსსა და მნიშვნელობას თითქმის ამომწურავად გამოხატავს ამ ყოველმხრივ მისაბაძი გამოცემის პირველ ტომს დართული სარედაქციო წერილის ორიოდ აბზაცი:

„გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა, რომელიც ტექსტოლოგიური მეცნიერებისა და გალაკტიონოლოგიის თანამედროვე მიღწევებს ეყრდნობა, უპრეცედენტოა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით პრაქტიკაში, რამდენადაც პირველად ხდება საბჭოურ-ტოტალიტარულ ეპოქაში მოღვაწე შემოქმედის ტექსტების გათავისუფლება იდეოლოგიურ-კონიუნქტურული ძალმომრეობისგან, მათი რეაბილიტაცია და ავტორის შემოქმედებითი ნების აღდგენა.“

ახალი კონცეპტუალური ხედვით მომზადებული ეს გამოცემა მკვლევარ-მეცნიერთათვის სანდო ბაზისი იქნება შემდგომ ძიებებში, საზოგადოდ კი დიდად შეუწყობს ხელს კლასიკოსი პოეტის რეალური სახის დამკვიდრებას მკითხველთა ცნობიერებაში.

გალაკტიონი უბრუნდება მისთვის ბუნებრივ – ეროვნული მწერლობისა და ევროპული ლიტერატურის კულტურულ არეალს“.

თეიმურაზ დოიაშვილს ხუთივე ტომის გამოსაცემად მომზადებისას, აგრეთვე, ბეჭდვის დროსაც, გამუდმებით ედგა მხარში მისივე გაზრდილი მეტად ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა მეცნიერი ნათია სიხარულიძე. ტექსტებზე მუშაობის პერიოდში მან ამა თუ იმ ლექსთა წყაროების მიგნებისა და ბუნდოვანი ალუზიების ამოცნობის იშვიათი უნარი, ალლო გამოამჟღავნა, რამაც არაერთხელ გამოიღო სასურველი ნაყოფი. იმედი უნდა ვიქონიოთ – მათი ერთობლივი ძალისხმევითა და უსაზღვრო თავდადებათ, დარჩენილი ათი ტომიც ასეთსავე შესაშურ დონეზე გამოიცემა. ეს სამაგალითო, ახლო მომავალში გასრულებული პროექტი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სახის წარმომჩენი და ქართული კულტურის უდიდესი შენაძენი იქნება.

Emzar Kvitaishvili
(Georgia)

“Another Century of Galaktion”
(to the new academic edition of Galaktion Tabidze’s poetry)

Summary

Key words: Galaktion tabidze, new academic edition.

More than 40 years have passed since the first 12-volume academic publication(1966–1975) of Galaktion Tabidze. The volumes prepared under the restricted conditions of the Soviet regime, where the great Georgian poet of the XX century was wrongly presented due to the ideological pressure, had quite a few faults but it played certain part and does even now for the scientific research of Galaktion’s poetry.

The archival 25 volumes printed by Giorgi Leonidze Georgian Literature Museum (2003-2008) is very significant, in which a number of unknown creation of the author, autographs of the verses, photos and letters of literary critics were published.

All these determined a new 15-volume academic publication prepared in Shota Rustaveli Institute of Georgian Literature – the publication free of Soviet conjunctures, presented without any distortion (quite of few verses of the poet were remade due to censorship or by editors).

This is Teimuraz Doiashvili who has managed this project, head of Galaktioni Research Center, and created a firm basis with a small group of the scientists in order to start

the publication of the volumes, under the consideration of the recent advances.

Prof. Irma Ratiani supported Galaktion Research Center in this great project. Soon the united efforts brought about favorable result and in 2016 and 2017 the first five volumes were printed (unfortunately, the number of copies is very little, just 200 of them).

These volumes comprise the path of 30 years (1908-1936) of the poet. The authors texts distorted by a rough editorial interferences are totally restored. Each verse and poem is followed by the most accurate comprehensive comments through which the reader is given an opportunity to better understand a rich spiritual world of the genial poet.

The published five volumes make us believe that the rest ones too will be perfect. This unique project by Shota Rustaveli Institute of Georgian literature will be accomplished on a very high level.